**i. gogebaSvilis saxelobis Telavis saxelmwifo universiteti**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სოციალურ, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

# საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (Minor)

# კულტუროლოგია Culturology

**მიმართულება/სპეციალობა:** კულტუროლოგია
**პროგრამის ხელმძღვანელები:**

**ნინო სოზაშვილი** - ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით, ფილოლოგიის დოქტორი.

**თენგიზ სიმაშვილი** - ასოცირებული პროფესორი საერთაშორისო დიპლომატიისა და ისტორიის მიმართულებით, ისტორიის დოქტორი

1. რეკომენდებულია ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ოქმი №15 30 მაისი 2011
სამსახურის უფროსი: (პროფ. დ.მჭედლიშვილი)

2. მიღებულია ფაკულტეტების საბჭოს მიერ. ოქმი № 6 07.06.2011
დეკანი: (ასოც. პროფ. მ. ცირიკიძე)
დეკანი: (ასოც. პროფ. ი. შიოშვილი)

4. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. ოქმი №16, 14 ივნისი, 2011
უნივერსიტეტის რექტორი: (თ.ჯავახიშვილი)

თელავი
2011

**ფაკულტეტი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა. სოციალურ, ბიზნესისა და სამართლის

**კათედრა:** მსოფლიო ისტორიის

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**
კულტუროლოგია ( Culturology)

**პროგრამის ხელმძღვანელები:**

**ნინო სოზაშვილი** - ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით, ფილოლოგიის დოქტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია

e-mail : ninosozashvili@gmil.com ტელ. 899 985303

**თენგიზ სიმაშვილი** - ასოცირებული პროფესორი საერთაშორისო დიპლომატიისა და ისტორიის მიმართულებით, ისტორიის დოქტორი

საკონტაქტო ინფორმაცია

e-mail: tengris@yahoo.com ტელ. 897 051551

**აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი (I საფეხური)

**პროგრამის ტიპი:** დამატებითი (minor)

**სწავლების ენა:** ქართული

**პროგრამის მოცულობა:**

პროგრამა კომბინირებულია, ანუ ემყარება მოდულებს და ცალკეულ საგნებს. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 აკადემიური წელი (6 თხუთმეტკვირიანი სემესტრი) 60 ECTS კრედიტი. ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით მესამედს, ხოლო ორი მესამედი _ დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის. კრედიტების ყოველწლიური რაოდენობაა 10. სალექციო კურსები, როგორც წესი, 5 კრედიტიანია. ასეთი დათვლა შეესაბამება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას (ECTS).

**სწავლების ფორმატი:** ლექცია, პრაქტიკული, სემიარი, პრეზენტაცია.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

სწავლობდეს ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. სპეციალობას არ გააჩნია პრერეკვიზიტი. დამატებით სპეციალობაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობაა 8, მაქსიმალური – 15. (თესაუ რექტორის ბრძანება №340) რაოდენობრივი მეტობის შემთხვევაში ჩატარდება კონკურსი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ სტუდენტებს მიენიჭება უპირატესობა, რომელთაც წინა სემესტრში შემდეგ სასწავლო კურსებში _ "შესავალი კურსი ქართულ ლიტერატურაში~ და „საქართველოს ისტორიაში" დააგროვეს მაღალი ქულები. თანაბარი ქულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების მაღალ ჯამურ ქულას.

**პროგრამის მიზანი:**

შესაბამისობაშია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან. უმაღლესი განათლების ბაზაზე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება/გადამზადება, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო/კვლევითი საქმიანობის განხორციელება, ევროპის ერთიან უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცისათვის. პროგრამის მიზანია, საბაზო განათლების მიცემა კულუროლოგიაში.

სასწავლო პროგამის მიზანია საბაზო განათლების მიცემა მსოფლიო და ქართული კულტურის შემსწავლელ ძირითად დისციპლინებში. ასევე ცივილიზაციის ისტორიის, რელიგიათმცოდნეობის, ქართულ ფილოლოგიის, კულტუროლოგიის ფილოსოფიურ თეორიების დისციპლინებში. მიღებული განათლების საფუძველზე უფრო მაღალ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

სწავლის დამთავრების შემდეგ ბაკალავრს შეეძლოს კულტუროლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი; გააჩნდეს ანალიზისა და სინთზის უნარი; შემქმედებითი ძიების უნარი; შეეძლოს განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები; შეძლოს ზეპირი და წერილობითი ინფრმაციების მომზადება კულტუროლოგიის სხვადასხვა ასპექტების

შესახებ, ფლობდესს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეეძლოს სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით; აანალიზებდეს კულტუროლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს; შეეძლოს კულტუროლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით; ითვალისწინებდს და პატივს სცემს მეცნიართა აზრს.

**დასაქმების სფეროები:**

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმებას. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურის დაწესებულებაში, სადაც საჭიროა ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ზოგადად კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით.

**სწავლის შედეგი:**

ბაკალავრს პროგრამის დასრულების შემდეგ აქვს საბაზო განათლება ქართული და მსოფლიო კულტურის ისტორიაში, ესმის კულტურის და ცივილიზაციის რაობა, იცის კულტურის სტრუქტურა და ფუნქციები, კულტურათა ისტორიული ტიპოლოგია, იცნობს ძირითად კულტუროლოგიურ სკოლებს და კონცეფციებს, გაცნობილია მსოფლიო კულტურის განვითარების ეტაპებს. ამის გარდა ფართოა მის მიერ მიღებული ცოდნის გამოყენების სფერო ისტორიაში, ფილოლოგიაში, რელიგიის ისტორიაში და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. იცის კულტუროლოგიასთან დაკავშირებული თემატიკის და პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი. შეუძლია ლოგიკური მსჯელობა, აქვს როგორც პროფესიული, ასევე პრაქტიკული და ინტელექტუალური უნარ-ჩვევები. კურსის გავლის შედეგად სტუდენტი ფლობს პროფესიული ეთიკის ნორმებს. გამომუშავებული აქვს სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის.

ამის გარდა ფართოა მის მიერ მიღებული ცოდნის გამოყენების სფერო სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. იცის კულტუროლოგიასთან დაკავშირებული თემატიკის და პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი. შეუძლია ლოგიკური მსჯელობა, აქვს როგორც პროფესიული, ასევე პრაქტიკული და

ინტელექტუალური უნარ-ჩვევები. კურსის გავლის შედეგად სტუდენტი ფლობს პროფესიული ეთიკის ნორმებს. გამომუშავებული აქვს სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის.

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ესმის კულტურის და ცივილიზაციის რაობა. იცნობს ძირითად კულტურულოგიურ სკოლებს და კონცეფციებს, გაცნობილია მსოფლიო კულტურის განვითარების ეტაპებს. | აქვს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ქართული და მსოფლიო კულტურის ისტორიაში. დაუფლებულია კულტუროლოგიასთან დაკავშირებული თემატიკის და პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ამოცანების დასმის და მათი გადაჭრის მეთოდებს. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | იხილავს და აანალიზებს კულტუროლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს. შეუძლია მსოფლიო და ქართული კულტურის ისტორიასთან დაკავშირებული დისციპლინების წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით. | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია კულტუროლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი |
| დასკვნის უნარი | შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალიწინებებთ სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა | გააჩნია ანალიზისა და სინთზის უნარი; შემქმედებითი ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები; |
| კომუნიკაციის უნარი | პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს განვითარებული აქვს დამოუკიდებელი თუ ჯგუფური მუაობის უნარი;<br>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. | ხელმძღვანელის დახმარებით შეუძლია ზეპირი და წერილობითი ინფრმაციების მომზადება ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტების შესახებ. |
| სწავლის უნარი | შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება. ასევე შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიქულ მაგალითებზე დაყრდნობით. | შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება. ასევე შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიქულ მაგალითებზე დაყრდნობით. |
| ღირებულებები | იცნობს კულტუროლოგიის დამახასიათებელ ღირებულებებს | იხილავს და აანალიზებს კულტუროლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს. შეუძლია კულტუროლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით; ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიართა აზრს |

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

დასახული მიზნების მიღწევისათვის გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება: ლექცია, სემინარი(პარაქტიკული სამუშაო), დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია.

## სწავლის შედეგების რუქა

| სასწავლო კურსები | კომპეტენციების ჩამონათვალი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| ქართული ცივილიზაციის ისტორია | X | X | X | | X | X |
| მსოფლიოს ცივილიზაციის ისტორია | X | X | X | | X | X |
| ევროპული რენესანსი | X | X | X | | X | X |
| ა) კულტურული ანთროპოლოგია<br>ბ) ეთნოლოგია | X | X | X | | X | X |
| კლასიკური ფილოლოგიის შესავალი | X | X | X | X | X | X |
| ფოლკლორი | X | X | X | | X | X |
| ქართული ლიტერატურის ფოლკლორულ-რელიგიური საფუძვლები | X | X | X | | X | X |
| რელიგიათმცოდნეობა | X | X | X | | X | X |
| ბიბლეისტიკა | X | X | X | | X | X |
| რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში | X | X | X | | X | X |
| შედარებითი მითოლოგია | X | X | X | | X | X |
| კულტუროლოგია (ფილოსოფიური ასპექტებით) | X | X | X | X | X | X |

## სწავლის გაგრძელების საშუალება:

სწავლის გაგრძელების მსურველებს შეეძლებათ, პირველ რიგში ქართული ფილოლოგიის და ყველა იმ სამაგისტრო პროგრამის გავლა, რომლებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფილს შეესაბამება. ასევე შეეძლებათ სხვა ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის გავლა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

## მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრა, კათედრის პროფესორ-თანამშრომელთა სალექციო კურსები და კონსპექტები, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ბიბლიოთეკა.

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი შეფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაოებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა (2 x 5 ქულა) დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ გადაწყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

. 91-100 ქულა : A (ფრიადი)

. 81-90 ქულა: B (ძალიან კარგი)

. 71-80 ქულა: C (კარგი)

. 61-70 ქულა: D (დამაკმაყოფილებელი)

. 51-60 ქულა: E (საკმარისი)

არსებობს ორი ტიპის უარყოფითი შეფასება:

. 41-50 ქულა: FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს კრედიტის მისაღებად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადში დამატებითი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება შეფასების სხვა კომპონენტებში მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.

. 40 და ნაკლები ქულა - F (ჩაიჭრა). ამ შემთხვევაში სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება სგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი და გამოკითხოს სტუდენტი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს სტუდენტი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწერება

სასწავლო კურსის სილაბუსში, იქნება გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

**სპეციალობის არჩევანი:** ძირითადი სპეციალობა ფუნქციონირებას იწყებს II სემესტრიდან. სპეციალობის არჩევა კი ხდება I სემესტრის ბოლოს (დეკემბრის თვეში). ამისათვის სტუდენტებს ვთავაზობთ ძირითადი სპეციალობის არჩევის ფორმას, სადაც მოცემულია სპეციალობების ჩამონათვალი. ამ ფორმის მიხედვით სტუდენტი ახდენს სპეციალობის არჩევას.

**ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ:**

**ნინო სოზაშვილი -** ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით, ფილოლოგიის დოქტორი. (იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)

**თენგიზ სიმაშვილი -** ასოცირებული პროფესორი საერთაშორისო დიპლომატიისა და ისტორიის მიმართულებით, ისტორიის დოქტორი. (იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)

**გოგი რჩეულიშვილი** - სრული პროფესორი საქართველოს ისტორიის მიმართულებით. ისტორიის დოქტორი.(იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)

**ეთერ ჯაჭვაძე** - მოწვეული პედაგოგი. ისტორიის დოქტორი.(იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)

**ავთანდილ ღლეღლუტაშვილი** - ასოცირებული პროფესორი საქართველოს ისტორიის მიმართულებით. ისტორიის დოქტორი.(იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)

**სოფიო არსენიშვილი** - მოწვეული პედაგოგი, ფილოლოგიის დოქტორი.(იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)

**ირმა შიოშვილი** - ასოცირებული პროფესორი ფილოსოფიის მიმართულებით. ფილოსიფიის დოქტორი.(იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)

**სილაბუსები:** (იხ. ცალკე)

# კულტუროლოგია
# Culturology
# (minor)

| # | საგანი | კოდი | სემესტრი | კრედიტი | სტატუსი | პრერეკვიზიტები | პედაგოგები | ძირითადი ლიტერატურა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I მოდული: ისტორია და კულტურა** | | | **20** | | | | |
| 1 | ქართული ცივილიზაციის ისტორია | H.1D.22 | VIII | **5** | სავალდებულო | არა აქვს | პროფ: გ. რჩეულიშვილი | ლორთქიფანიძე,ოთ. (2002).*ქართული ცივილიზაციის სათავეებთან,* თბილისი (საქ. ისტ. კათედრის ზიბლიოთეკა) |
| 2. | მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია | H.1D.21 | VII | 5 | სავალდებულო | ევროპული რენესანსი | პროფ: გ. რჩეულიშვილი | ლორთქიფანიძე,გ.გორდეზიანი, რ. (2003) *კულტუროლოგია,* თბ..(საქ. ისტ. კათედრის ბიბლიოთეკა) |
| 3. | ა)ლინგვოკულტუროლოგია<br>ბ)ევროპული რენესანსი | H.1.E.39<br>H.1F.19 | VI | 5 | სავალდებულო | არა აქვს | ასისტენტ პროფ. მ. ცისკარიშვილი<br>მოწვეული პროფ: ე. ჯაჭვაძე | ტივაძე გ. (1970). შუა საუკუნეების ისტორია, ტ.II. თსუ გამომცემლობა.(უნივ. ბიბლიოთეკა) |
| 4 | ა) კულტურული ანთროპოლოგია<br>ბ) ეთნოლოგია | H.1.L.24<br>U.1.T.02 | IV | **5** | სავალდებულო-არჩევითი | არა აქვს | ასოც.პროფ. ნ. სოზაშვილი<br>ასოც. პროფ. ა.ღელეღუტაშვილი | თოფჩიშვილი რ. (2006). საქართველოს ეთნოლოგია, თბილისი. (უნივ. ბიბლიოთეკა) |
| | **II მოდული: ლიტერატურა და კულტურა** | | | **15** | | | | |
| 1 | კლასიკური ფილოლოგიის შესავალი | H.1.L.28 | III | 5 | სავალდებულო | არა აქვს | ასოც.პროფ: ნ. სოზაშვილი | გორდეზიანი რ., დანელია მ. (2004). კლასიკური ფილოლოგიილ შესავალი. გამომცემლობა „ლოგოსი". თბილისი. (უნივ. ბიბლიოთეკა. ქსერიასლი) |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | ფოლკლორი | P.1.K.05 | V | 5 | სავალდებულო | არა აქვს | ასოც. პროფ: ნ.სოზაშვილი | ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოცემლობა. (უნივ. ბიბლიოთეკა) |
| 3 | ქართული ლიტერატურის ფოლკლორულ-რელიგიური საფუძვლები | H.1.L.12 | VI | 5 | სავალდებულო-არჩევითი | ბიბლეისტიკა | ასოც.პროფ: ნ. სოზაშვილი | ა. სპარსიაშვილი, ნ. სოზაშვილი (2007), ქართული მწერლობის ფოლკლორულ-რელიგიური საფუძვლები, თბილისი: გამომცემლობა ,,ცოდნა".(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| | **III მოდული: რელიგია და კულტურა** | | | **20** | | | | |
| 1 | რელიგიათმცოდნეობა | H.1H.47 | III | 5 | სავალდებულო | არა აქვს | მოწვეული მასწავლებელი ს. არსენიშვილი | ნადირაძე, ე. (2005) მსოფლიო რელიგიები. გამომცემლობა: არტანუჯი.(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 2 | ბიბლეისტიკა | H.1L.25 | IV | 5 | სავალდებულო | რელიგიათმცოდნეობა | მოწვეული მასწავლებელი ს. არსენიშვილი | *ბიბლიის ენციკლოპედია* (2003), გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა(პირადი ბიბლიოთეკა) |
| 3 | რელიგია და კულტურა სამხრეთ | H.2.D.30 | VIII | 5 | სავალდებულო-არჩევითი | რელიგიათმცოდნეობა | ასოც. პროფესორი თ. სიმაშვილი | ჩიქოვანი, ნ. (2006). რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 4 | შედარებითი მითოლოგია | H.1.L.02 | V | 5 | სავალდებულო-არჩევითი | არა აქვს | ასოც. პროფ: ნ. სოზაშვილი | გორდეზიანი, რ.(2005). მითების სიბრძნე. გამომცემლობა ,,დიოგენე". (ქართული ფილოლოგიის კათედრის ბიბლიოთეკა) |
| | **IV მოდული: კულტურის ფილოსოფია** | | | | | | | |
| 1 | კულტუროლოგა (ფილოსოფიური აქცენტებით) | S.1.L.60 | VII | 5 | სავალდებულო | არა აქვს | პროფ. ი. შიოშივილი | ყულიჯანაშვილი ა.(2001), *კულტუროლოგია.* თბილისი: უნივესრსალი (უნივ. ბიბლიოთეკა) |

## საგნების მოკლე ანოტაციები:

### მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია

აღნიშნული კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის საგანი და რაობა; ტერმინების „კულტურა“ და „ცივილიზაცია“ ურთიერთმიმართება; ცივილიზაციის ძირითადი მოდელები და არსებითი ნიშნები (მახასიათებლები); ცივილიზაციის უძველესი საწყისები, პირველყოფილი საზოგადოების კულტურა, ადრეული ცივილიზაციები.

### ქართული ცივილიზაციის ისტორია

აღნიშნული კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს როგორც ზოგადად ქართული კულტურის, ასევე ეროვნული სახელმწიფოებრივობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, მისი ადგილი მეზობელი რეგიონების ცივილიზაციებს შორის.

### კლასიკური ფილოლოგიის შესავალი

კურსში გადმოცემული იქნება ბერძნული, იტალიური და ძველი ლათინური ფილოლოგიის საწყისები და მათი განვითარების ეტაპები. ფილოლოგია ანტიკურ სამყაროში, ანტიკური ლიტერატურის პერიოდიზაცია. ასევე ანტიკური ფილოსოფიის და სამართლის, ანტიკური ხელოვნების სახვადასხვა ასპექტები.

### ფოლკლორი

აღნიშნული კურსის მიზანია წარმოუჩინოს სტუდენტს ხალხური ზეპირსიტყვიერების არსი, შეაცნობინოს მისი ისტორიული განვითარების კანონზომიერებანი, გააზრებინოს ფოლკლორის საზოგადოებრივი ფუნქციის არსი.

### ქრისტიანული კულტურა და ქართული ლიტერატურა

სალექციო კურსი მიზნად ისახავს ქრისტიანულ კულტურასთან ქართული მწერლობის ურთიერთობების შესწავლას. ქრისტიანული კულტურის გავლენას ქართულ ლიტერატურაზე. კურსში ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ მწერლობასა და მართლმადიდებლობის ურთიერთკავშირზე, ასევე რიგ სამეცნიერო დისციპლინებთან ურთიერთობაზე. კურსი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან _ ძველი ქართული მწერლობა და ქრისტიანული კულტურა, XIX საუკუნის ქართულ მწერლობისა და ქრისტიანობის დამოკიდებულება, XX საუკუნის ქართული მწერლობა და მისი რელიგიური ასპექტები.

### ევროპული რენესანსი

აღნიშნული კურსის მიზანია წარმოუჩინოს და შეასწავლოს სტუდენტებს რენესანსის არსი და მისი წინაპირობები; დასავლეთ ევროპაში უნივერსიტეტების წარმოშობა და მათი როლი რენესანსის ეპოქის განვითარებაში; რენესანსისა და ჰუმანიზმის ძირითადი ნიშნები; აღორძინების კლასიკური პერიოდი; ქართული აღორძინება,

### ეთნოლოგია

კურსის სწავლებისას მოხდება ეთნოლოგის, როგორც მეცნიერების წარმოშობის ისტორიის შესწავლა; კურსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხს, ასევე ქართულ ტრადიციებს, მის ეთნოკულტურას და მნიშვნელობას. ამას გარდა კურსში ცალ-ცალკე განხილულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა ეთნოლოგია.

**კულტურული ანთროპოლოგია**

კურსის მიზანია კულტურული ანთროპოლოგიის სპეციფიკის საფუძვლიანი შესწავლა. კერძოდ, ანთროპოლოგიის ფორმები: რა არის ანთროპოლოგია? ანთროპოლოგიის მოკავშირე დიციპლინები; კულტურული მრავალფეროვნება: კულტურა; კულტურის ევოლუციური განვითარება; ეროვნება და რასა; ენა და კომუნიკაცია; საცხოვრებელი ადგილი; პოლიტიკური სისტემები; ოჯახი, ნათესაობა და მემკვიდრეობა; ქორწინება; გენდერი; რელიგია და კულტურა; მსოფლიო ცვლილებები: თანამედოვე მსოფლიო სისტემა; კოლონიალიზმი და განვითარება კულტურათა აღრევა და გადმონაშთები.

**რელიგიათმცოდნეობა**

ზემოაღნიშნული კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს საბაზისო განათლება რელიგიათმცოდნეობაში. გააცნოს მათ მსოფლიოში არსებული ძირითადი რელიგიური მიმართულებები, მათ მიერ განვლილი გზა და დღევანდელი მდგომარეობა.

**ბიბლეისტიკა**

კურსის სწავლებისას მოხდება ბიბლიის, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნიმუშის შექმნის ისტორიის შესწავლა, იმ ისტორიული, პოლიტიკური და ეთნიკური გარემოს ფონზე, რომელშიაც იგი დაიწერა. ამ კურსის გავლა ტუდენტებს დაეხმარება საღვთო წერილის თავისებურებების და მნიშვნელობის სწორად აღქმაში. Kკურსის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ საბაზისო ცოდნას ბიბლიის არქეოლოგიის და გეოგრაფიის, რელიგიური ღვთისმსახურების სახეების შესახებ.

**რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში**

ამ კურსში გადმოცემული იქნება სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა კულტურების და რელიგიების ურთიერთქმედება. ძირითადი კონფესიები და მათი ისტორიული და ტერიტორიულ-ეთნიკური ლოკალიზაცია. რელიგიის ფაქტორი კავკასიის თანამედროვე კონფლიქტებში.

**შედარებითი მითოლოგია**

მოცემული სალექციო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს მითის, როგორც კულტურულ-სოციოლოგიური ფენომენის არსი; მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით შეასწავლოს მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიის ძირითადი მიმართულებები, მათი მსგავსებები და განსხვავებები; სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ასევე ქართულ მითოლოგიას და მის ძირეულ კავშირებს, როგორც ბერძნულ, ასევე ახლო აღმოსავლეთის მითოლოგიასთან.

**კულტუროლოგია**
**(ფილოსოფიური ასპექტებით)**

კურსის მიზანია, სტუდენტებს მისცეს ზოგადი ცოდნა კულტურის, როგორც ადამიანის ყოფიერების ფორმის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანი და ის სამყარო, რომელსაც იგი ქმნის და რომელშიც ცხოვრობს, როგორი უნდა იყოს სინამდვილესთან მისი ურთიერთობის პრინციპები; კურსში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი კულტურის შესახებ წარმოდგენების ისტორიულ განვითარებას, აგრეთვე, კულტურის ონტოლოგიის საკითხებს. განხილულია კულტურათა იერარქიის პრობლემა, კულტურის სტრუქტურა, ფუნქციები, მოდიფიკაციები და ტიპოლოგია.